K 49 004
2

ალექსანდრე
სიგუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეიფელოვანი ოჯახი


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სიგუა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ლექსიკა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1980

6638(ᲡᲥᲐᲠᲗ)(09Წ)
ლილიტ, მიტროფანე 1869

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ერი, თუ საზოგადოება, მარტო იმას უნდა ეძახდეს „ჩვენებანს“, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით, თუ საქმით და ეს ღვაწლი გაგრწყინებულია, შუქმესხმულია მადლითა; აქ სულერთია, თქმაა ეს ღვაწლი, თუ ქმნა, იმიტომ, რომ ზოგჯერ თქმა ქმნა არის“.

ილია ჭავჭავაძე

K49004
2

სპეგ-2000

ი. ტორაძის სახ. საქ.
სსრ სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

49 ბ ი ლ 1716 ~5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე

მიტროფანე ლაღიძის სახელი ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და ევროპაში. მას ეს სახელი და პატივისცემა ადვილად არ მოუპოვებია. ამაში მისი ნიჭი, შრომა და ადამიანური კეთილშობილებაა ჩაქსოვილი. საინტერესოა, როგორ შეძლო ღარიბი აზნაურის შვილმა, რომელსაც უბეში მხოლოდ საშუალო განათლების ატესტატი ედო, როგორც თვითონ წერს, შეექმნა ხილეულის ისეთი წყლები, თავისი სურნელებით, გემოთი და არომატით, განცვიფრებაში რომ მოჰყავდა არა მარტო ქართველები, არამედ რუსები, უკრაინელები და წარმოიდგინეთ, ევროპელებიც.

როგორც ილია წერდა: „საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყვეს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი კაცობის შემძლეობაც ჰქონდეს“[1]. დიახ, მიტროფანე ლაღიძეს მშობლებმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ყველაფერი ის, რის შესახებაც დიდი ილია წერდა: შრომისმოყვარეობა, სინდისი, კაიკაცობა, ზრდილობა, კეთილშობილება, მამულის სიყვარული. ყოველივე ამით გზა გაიკაფა ნიჭიერმა ჭაბუკმა და საქვეყნოდ ცნობილი კაცი გახდა.

---

[1] ილია ჭავჭავაძე — ტ. IV, გვ 293.

შეიძლება ამ სახელოვანი მამულიშვილის ბიოგრაფია და ღვაწლი ყველამ კარგად არ იცოდეს, მაგრამ, უეჭველია, ბევრმა იცის ლალიძის სურნელოვანი, უალკოჰოლო ნატურალური ტკბილი წყლის ფასი და ვფიქრობ, ეს სრულიად საკმარისია იმათთვის, ვისაც აინტერესებს ამ სახელოვანი კაცის ღვაწლი ჩვენი საზოგადოების წინაშე.

მიტროფანე ლალიძის უალკოჰოლო სასმელები ისევე ცნობილია რუსეთსა და ევროპის მრავალ ქვეყანაში, როგორც დიდებული ჩვენი კახური ღვინო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ცნობილმა რუსმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ ლალიძის ხილეულის წყლებს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა:

ლალიძის წყალი

გამოუცნობი არის ბრძენი, ვერ გააღვიძებ
ოსტატში მთვლემარ საიდუმლოს — ეს კანონია.
წყლის საიდუმლო სამუდამოდ გაპყვა ლალიძეს,
როგორც ტაბიძემ ლექსის ჯადო გაიყოლია.

ამ საუკუნის მრეწველობის სხივი ანათებს,
ყველა შამპუნი „სიტროს“ დამღით დანაფერია,
სამყაროსათვის გემოვნება და არომატი
არაფერია, ჭეშმარიტად არაფერია.

მაგრამ მე მახსოვს გემოვნების მკაცრი წესდება:
წყალში დახტოდა ლიმონების მომცრო სულები,
უგემოვნება ლიმონათსაც თურმე ბეზრდება
და წყლის წყურვილი შემშრალი აქვს ბაგეს სრულიად.

ქაფში ყვაოდა ლიმონების თეთრი ღიმილი
და ამ ღიმილში ლალიძესთან დაჯდა წყვდიადი...

კვდებოდა კაცი — ეცლებოდა გულს სიმძიმილი,
თავად სიკვდილშიც მზე ეონავდა, შვება დიადი.

ოსტატთან ერთად მიდიოდა სხვა იმედებიც —
კაცმა იცოდა, თან მიჰქონდა წყლის უკვდავება.
ბოლოს ჭაბუკი დაიხარა, ჰკითხა ვედრებით:
'რაშია თქვენი საიდუმლო ასე ღვთაება?

ლაღიძეს წუთით დაეძაბა მზერა გამჭრალი
და ენისწვერთან მიიტანა თითი კანკალით[1].

უადგილო არ იქნება მკითხველს გავაცნოთ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მიტროფანე ლაღიძისა, რომელმაც შეგვაყვარა ხილეულის უალკოჰოლო სასმელები, შეგვაყვარა იმ ადგილზე მისვლა, სადაც რუსთაველის პროსპექტზე ეს წყლები იყიდება.

მიტროფანე ერმალოს ძე ლაღიძე დაიბადა 1869 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ჭოლევში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. მამამისი საკმაოდ განათლებული პიროვნება იყო. მან კარგად იცოდა რუსული ენა და მასთან, როგორც გონებამახვილ და გამჭრიახი გონების კაცთან, ქუთაისის ახლომახლო სოფლებიდან რჩევა-დარიგებისათვის მოდიოდნენ.

დედა მიტროფანესი — გულჩინა უგრეხელიძე უაღრესად დინჯი, ენაწყლიანი და შესანიშნავი მოსაუბრე ყოფილა.

მიტროფანე 14 წლისა იყო, როცა ქუთაისში ჩამოიყვანეს და მუშაობა დაიწყო კოკოჩაშვილისა და ივანოვსკის აფთიაქში. ცეზარ კარლოს ძე ივანოვსკი წარმოშობით პოლონელი იყო, რომელიც პოლიტიკურ ნიადაგზე საქართველოში გადმოესახლებინათ. ფარმაციის მაგისტრი ივანოვსკი ჩინებულად ყოფი-

---

1 თარგმანი პოეტ გრიგოლ ჯულუხიძისა.

ლა დაუფლებული თავის პროფესიას, მას სიყვარული და პა-
ტივისცემა თავისი პროფესიისადმი მოწაფეებისათვისაც ჩაუ-
ნერგავს.

აფთიაქის გარდა ივანოვსკის ქუთაისში ჰქონია ლიმონა-
თის წარმოება, სადაც მიტროფანეც მუშაობდა. წარმოების
პატრონი მიტროფანეს დიდი ყურადღებითა და სიყვარულით
ეპყრობოდა, როგორც შრომისმოყვარესა და პატიოსან ჭაბუკს.
იქ მიტროფანემ შესანიშნავად შეისწავლა ხილეული წყლების—
უალკოჰოლო სასმელების წარმოების მეთოდი და ივანოვსკის
გარდაცვალების შემდეგ წარმოებას თვითონ ჩაუდგა სათავე-
ში. შრომისმოყვარე და ინიციატივიანმა მიტროფანემ 1900
წელს ქუთაისის ლიმონათის წარმოების ბაზაზე შექმნა ხილე-
ული სასმელების წარმოების ამხანაგობა — მთელ დასავლეთ
საქართველოში დიდად რომ გაითქვა სახელი.

აი, რას წერს პ. ჩაგელიშვილი მიტროფანე ლაღიძის მიერ
დამზადებული ხილეული წყლების უალკოჰოლო სასმელების
შესახებ: „მიტროფანე ლაღიძის მიერ დამზადებული სასმელები
თავიდანვე უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მან
პირველმა შემოიღო სასმელების ეგრეთწოდებული „გაკეთილ-
შობილების“ მეთოდი, რაც იმით გამოიხატება, რომ ხილის წვე-
ნებთან ერთად სასმელს სათანადო ესენციაც ემატება. ეს უკა-
ნასკნელი დიდად აუმჯობესებს სასმელების არომატს. მიტროფა-
ნე ლაღიძემ პირველმა გადაჭრა ჩვენში უალკოჰოლო სასმე-
ლების დასამზადებლად ნატურალური წვენების გამოყენების
საკითხი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნედლე-
ულის ხარისხს და სასმელების წარმოების ტექნოლოგიის მკაც-
რად დაცვას. სასმელების ქარხნების ყველა იმდროინდელ მე-
საკუთრეთაგან განსხვავებით მიტროფანე ლაღიძე უფრო მე-

ტად დაინტერესებული იყო ქართული სასმელების სახელით, ვიდრე ამხანაგობის მოგებით. სწორედ ამის გამო გაითქვა სახელი მისმა სასმელებმა, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც. ქართული უალკოჰოლო სასმელების მაღალი ღირსება, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამოპარვია მაშინდელ საქართველოს, რუსეთისა და უცხოეთის საზოგადოებას. 1913 წელს პეტერბურგსა და ვენაში სასმელთა საერთაშორისო გამოფენაზე ქართულმა უალკოჰოლო სასმელებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს და ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

1906 წელს მ. ლაღიძემ თბილისში დააარსა ლიმონათის ქარხანა. 1910 წლისათვის თბილისში არსებობდა ხილის წყლების 3 ქარხანა — მ. ლაღიძისა, ე. ზემელისა და ვ. მამულოვისა. მათ შორის ყველაზე უკეთესი ხარისხის ლიმონათს უშვებდა მ. ლაღიძის ქარხანა, რომლის პროდუქცია საქართველოს საზღვრებს გარეთაც იგზავნებოდა. მაგალითად, თბილისში მყოფი ირანელი ვაჭრები, როგორც განსაკუთრებულ საჩუქარს, ირანის დიდებულებსა და წარჩინებულ პირებს „ფეშქაშად" უგზავნიდნენ ლაღიძის მიერ დამზადებულ წყლებს"[1].

დიდია მიტროფანე ლაღიძის დამსახურება უალკოჰოლო სასმელების მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე დამზადება-გამოშვების საქმეში.

„უალკოჰოლო სასმელები, — წერს პ. ჩაგელიშვილი, — როგორც კვების პროდუქტი, გამაგრილებელი და წყურვილის დამაკმაყოფილებელი საშუალება, ფართოდ მოიხმარება წლის ყველა დროში. უალკოჰოლო სასმელები თანდათან ამცი-

---

[1] პ. ჩ ა გ ე ლ ი შ ვ ი ლ ი — უალკოჰოლო სასმელების წარმოება საბჭოთა საქართველოში (საქ. მეცნიერებათა აკადემ. „მოამბე", 1963, № 6, გვ. 23—25).

მიტროფანე ლალიძე 900-იან წლებში

რებს არყის მოხმარებას და სულ უფრო ფართო ადგილს იკავებს მშრომელთა კვების რაციონში.

გარდა პირდაპირი მოხმარებისა, უალკოჰოლო სასმელებს ფართო საწარმოო დანიშნულებაც აქვთ, მათ იყენებენ კვების სხვადასხვა პროდუქტების საკონდიტრო ნაწარმის, ღვინის, ძმრის, ლიქიორების, კისელის, ნაყინის და სხვათა დასამზადებლად[1].

ყოველ დიდსა და საინტერესო წამოწყებას, რომელსაც შეეძლო ჩვენი ერი ესახელებინა და შორს გაეტანა მისი სახელი და ისტორია, ქართველი მწერლები, ქართველი საზოგადო მოღვაწეები მუდამ თანაგრძნობით ეკიდებოდნენ და ხელს უწყობდნენ. და, აი, აკაკი წერეთელმა 1900 წელს ქუთაისში გახსნილ მიტროფანე ლაღიძის უალკოჰოლო სასმელებს ექსპრომტად ასეთი ლექსი უძღვნა:

სასმელების მეტოქე ვარ,
ღვინის, ლუდის, წყლის და რძისა —
ხალეულთა ესენცია —
მიტროფანე ლაღიძისა.
გემოცა მაქვს, სუნიცა მაქვს,
გთხოვთ ორივე გამისინჯოთ,
თორემ ისე რად მინდიხართ
მოხვიდეთ და გადიბრინჯოთ[2].

---

1 პ. ჩაგელიშვილი — დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

2 შენიშვნა. მიტროფანე ლაღიძის წყლების მაღაზია მოთავსებული იყო ქუთაისის ცნობილი ბულვარის მოპირდაპირე მხარეს, სადაც მეზობლად კვიცარიძის წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მაღაზია გახლდათ. სწორედ ამ მაღაზიის წინ იკრიბებოდნენ თავადაზნაურთა ზოგიერთი უსაქმური წარმომადგენლები. მიტროფანე ლაღიძისადმი აკაკის ექსპრომტად მიძღვნილი ლექსის ერთ სტრიქონში („მოხვიდეთ და გადიბრინჯოთ") პოეტი სწორედ ამ ხალხს ამათრახებს — ა. ხ.

1902 წელს მიტროფანე ლაღიძე გაემგზავრა საზღვარგარეთ — გერმანიასა და საფრანგეთში. პარიზში გაეცნო და შეისწავლა ხილეული წყლების წარმოების მეთოდი და ტექნოლოგია, რომელიც შემდეგ დიდი ცოდნითა და ეფექტიანობით გამოიყენა თავის წარმოებაში.

მიტროფანე ლაღიძე, როგორც უკვე ვთქვით, მოძრავი და ინიციატივიანი კაცი იყო.

და, აი, ქუთაისის ბანკის მმართველის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის დახმარებითა და ხელშეწყობით საფრანგეთიდან სათანადო კომპანიისაგან მიიღო საკმაო კრედიტი ელექტროსადგურისათვის საჭირო დანადგარების შესაძენად. ეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი წამოწყება პირველად ქუთაისში 1904 წელს განხორციელდა და აშენდა ელექტროსადგური, რომელმაც პირველად ქუთაისს მისცა ელექტროგანათება. ამ ისტორიული ფაქტით ხალხი დიდად კმაყოფილი და აღფრთოვანებული დარჩა. ამის შესახებ 1904 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ბატონ მ. ლაღიძის ქარხანამ კარგი საქმე გააკეთა, ჯერ იყო და ქუთაისის თეატრი გაანათა ელექტრონით და ახლა კი ქალაქის ქუჩებსაც ანათებს. ეს აგერ ერთი კვირაა, რაც მთავარი ქუჩა სობორისა და ბულვარის გარშემო ელექტრონის ფარნებითაა განათებული. ქუთაისში პირველად დამონტაჟებული ელექტროსადგურის სიმძლავრე თანდათანობით გაიზარდა და ჩვენს დროშიაც კი, რიონჰესის ექსპლოატაციაში გაშვებამდე მთელი სიმძლავრით ემსახურებოდა ქუთაისსა და მის მრეწველობას.

შემდეგ მიტროფანე ლაღიძემ საფრანგეთიდან მიიღო მაცივარ-დანადგარები ხელოვნური ყინულის მისაღებად, რომელიც დაამონტაჟა ელექტროსადგურის მახლობლად კვების საჭიროებისათვის. ეს იყო დიდი სიმძლავრის ქარხანა, რომლის

მიერ გამოშვებული პროდუქციით, ქუთაისის გარდა, ამარაგებდა აგრეთვე ფოთის ნავსადგურის სამაცივრო მეურნეობასაც.

ცნობილმა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ ჩემი თხოვნით დაწერა პატარა მოგონება მიტროფანე ლაღიძის შესახებ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ. აი, რას წერს იგი:

„ლაღიძე იყო ენერგიული, ნიჭიერი და უაღრესად პატიოსანი ადამიანი. მან უნარიანად მოჰკიდა ხელი უალკოჰოლო სასმელი წყლების დამზადებას და დიდი სახელიც მოიხვეჭა.

ქუთაისის მთელი საზოგადოება, დიდი და პატარა იკრიბებოდა და სიამოვნებით მიირთმევდა უკვე სახელგანთქმულ „ლაღიძის წყალს“, რომელიც იყიდებოდა ქუთაისის ცნობილ ბულვართან ახლოს.

გარდა ამ ხელოვნურ-ხილეული წყლებისა, მიტროფანე ლაღიძემ ქუთაისში ააშენა ელექტროსადგური, რომელიც მთელ ქალაქს ანათებდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქუთაისში პირველად ყინულის კეთება დაიწყო ლაღიძის წყალთა ქარხანაში, მანამდე ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა სარგებლობდა ზამთრის პერიოდში მომარაგებული თოვლით, რომელსაც სპეციალურად აგროვებდნენ და ინახავდნენ განსაკუთრებულ ფარდულებში. იქ თოვლს ზევიდან აყრიდნენ ნახერხს და აფარებდნენ ჭილოფებს. ეს საშუალება ძლიერ ანელებდა თოვლის დნობის პროცესს“.

უფრო ადრე, 1902 წელს, აი რას მოუთხრობს გაზეთი „ივერია“ თავის მკითხველებს: „არქიელის გორაზე გაცხარებული მუშაობაა წყლის მილის უმთავრეს აუზის გასაკეთებლად. მუშები მახლობელ სოფლებიდან ხარ-ურმებით ეზიდებიან ვინ სილას, ვინ კირს, წყალს, ცემენტს. ხე-ტყეს და სხვას. ქუთათურებს ახლა კი იმედი მოგვეცა, რომ ახლო მომავალში რიონის სილა-წყალი ბროლივით ანკარა წყალზე შეგვეცვლება,

სწორედ ისე, როგორც კოკოჩევ-ხაინდრავა და აბზიანიძის მტვერ-ნეხვ ნარევი ყინული მიტროფანე ლაღიძის ბროლიკით სუფთა ყინულზე შეგვეცვალა 29 ივლისს და ამ გვარიან სიცხეში ყელს იმით ვიგრილებთ ქუთათურები. სადილობის დროს ღვინოს უმისოდ არ გეახლებით, შუადღესა და საღამოობით კი მიტროფანესვე ხელოვნურ გემრიელ წყლებს ამავე ყინულით გაციებულს მივირთმევთ, ამნაირად ქუთაისიდან სააგარაკოდ გახვეწილთ კი აქვთ შემოსანატრი ჩვენ აქ დარჩენილთათვის და უეჭველია მალე გამოეშურებიან აქეთკენ".

ხალხის სიხარულს და აღფრთოვანება-აღტაცებას საზღვარი არა აქვს, ისინი, როგორც „ივერია" იტყობინება, დღედაღამ მუშაობენ, რათა მოსახლეობამ რიონის ამღვრეული და სილანარევი წყლის მაგივრად მიიღოს სუფთა და ანკარა წყარო. ეს უეჭველად დამსახურება იყო მიტროფანე ლაღიძისა.

პირველად მიტროფანე ლაღიძემ ძალიან ფართოდ გამოიყენა ხილეული წყლების უალკოჰოლო სასმელის დასაყენებლად საქართველოში არსებული ადგილობრივი ხილ-კენკრის ნედლეული. ამასთან ის ზედმიწევნით ფრთხილად ეკიდებოდა ხილის ნედლეულის შერჩევას მიკროორგანიზმების მიხედვით. ასე, მაგალითად, ჟოლოს სიროფს ამზადებდა მხოლოდ ბორჯომის ხეობაში, უმთავრესად კი ბაკურიანში გავრცელებულ ხილ-კენკრით, რომელიც ძალიან სურნელოვანი და გემრიელი იყო, თუმცა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოტანილი ნედლეული უფრო იაფი ჯდებოდა.

ამბობენ, მიტროფანე ლაღიძეს წყლის დაყენების რაღაც საიდუმლოება ჰქონდათ, მაგრამ მას, როგორც ცნობილია, წყლის დაყენების არავითარი საიდუმლოება არ გააჩნდა, გარდა ბუნებრივი დეგუსტაციური ნიჭისა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა საქმისადმი.

ᲛᲘᲢᲠᲝᲤᲐᲜᲔ ᲚᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲐ

ერთხელ ბატონმა აკაკი შანიძემ მითხრა — მიტროფანეს შევეკითხე, თუ როგორ აყენებდა ასეთ სურნელოვან და სასიამოვნო სასმელ წყალს. მან მიპასუხა — ბატონო აკაკი, მე არაფერს არ ვუმატებ იმ სურნელოვან ხილს, რაც ჩვენს მრავალფეროვან ბუნებას ასე უხვად მოუციაო.

— მამა განსაკუთრებული დეგუსტატორული თვისებით იყო შემკული, — მითხრა მიტროფანეს შვილმა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა რამაზ ლაღიძემ,— სულ მცირედი ნიუანსების მიხედვით ინგრედიენტს ისეთნაირად შეარჩევდა, რომ პროდუქტი განსაკუთრებულ მომხიბლავ და გემურ, სურნელოვან თვისებებს იძენდა და ამრიგად ქმნიდა ისეთ კომპოზიციებს, რომლებსაც არაერთხელ დაუმსახურებიათ უმაღლესი შეფასება და პირველი პრემიები — ოქროსა და ვერცხლის მედლები, მათ შორის საზღვარგარეთაც, ვენაში, აგრეთვე პეტერბურგის გამოფენაზე 1913 წელს.

მიტროფანე ლაღიძის რეცეპტებით გამოშვებულმა ხილეულის უალკოჰოლო ნატურალურმა სასმელმა წყალმა ძალიან ადრე მიიქცია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. მას ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი გამოეხმაურა. აი რას წერდა 1900 წელს გაზ. „კვალი“ (№ 17): „ქალაქის ბაღის პირდაპირ, თუმანიშვილის ახალ შენობაში ბატონმა მიტროფანე ლაღიძემ გახსნა მადნეულისა (იგულისხმება მინერალური წყლების—ა. ხ.) და ხელოვნურად შემზადებული წყლების ქარხანა. ეს ახლად დაარსებული ქარხანა თავისი სიფაქიზით და კარგი სურნელოვანი წყლებით განირჩევა სხვა ქარხნებისაგან. აქვე მსურველებს შეუძლია ისარგებლონ ყველა ქართული გაზეთით და საუკეთესო რუსული ჟურნალ-გაზეთებით“.

მ. ლაღიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან. აი რას წერს გაზეთი „ივერია“ 1894 წელს (№ 267): „ამ

ორი წლის წინათ ბ. ლაღიძის პირადი შეურაცხყოფისათვის გ. წ.-ს სასამართლომ ერთი თვის პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ბ. ლაღიძემ სასამართლოში განცხადება შეიტანა, რომ ჩვენის პოეტის აკაკი წერეთლის მორჩენის გამო მიპატიებია თავად წ-სთვის პატიმრობაო". ეს მეტად საინტერესო ფაქტია, რომელიც მოწმობს პოეტისადმი დიდ პატივისცემას და უზომო სიყვარულს. ეს არის ხალხის ნამდვილი სიყვარული.

პოეტისადმი ეს სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა იმ შესანიშნავ და ბევრისმთქმელ მოგონებებშიც, რომლებიც მიტროფანე ლაღიძეს დაუწერია 1942 წელს და ინახება საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელთნაწერთა ფონდში (№ 13289). მოგონება მეტად საინტერესოა არა მარტო იმით, რომ აკაკი წერეთლისა და მიტროფანე ლაღიძის ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობის შესანიშნავ ფურცელს გვაცნობს, არამედ იმითაც, რომ მოგონებებში ჩანს პოეტის დიდი გატაცება და დაინტერესება, რომ ჩვენში დაარსებულიყო ისეთი დაწესებულება, რომელიც უხელმძღვანელებდა და შეაგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ლექსებს, ანდაზებს, იგავ-არაკებს, თქმულებებს, ხალხური მედიცინის შესახებ გადმოცემებსა და სხვა.

პოეტის მიერ ასი წლის წინათ ასე გულისტკივილით ნანატრი ორგანიზაცია დღეს ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული და დაარსებულია. გვაქვს რამდენიმე ინსტიტუტი, სადაც მუშაობენ ცნობილი პროფესორები და მეცნიერი მუშაკები, რომლებიც აგროვებენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, მეცნიერულად ამუშავებენ და შემდეგ ცალკე წიგნებად უშვებენ.

წიგნში მოგონება ოდნავ შემოკლებით მოგვყავს.

ჩვენი ძვირფასი და საყვარელი მგოსნის აკაკის ერთ-ერთ დიდ სურვილს შეადგენდა ის, რომ დაარსებულიყო რაიმე ორგანიზაცია, რომელიც მთელ საქართველოში შეაგროვებდა ძვირფას განძს, საუნჯეს — სხვადასხვა კუთხეში და სოფლებში გადარჩენილ ხალხურ თქმულებებს, ანდაზებს, ზეპირ-გადმოცემებს, ლექსებს, ზღაპრებს, მესტვირულ და საერთოდ ხალხურ პოეზიას, ხალხური მკურნალობის ხერხებს სხვადასხვა ბალახეულობით, თაფლით, ირმის ქონით, ნადირის, ცხოველის ნაღვლით და სხვა ამისთანები, რაც თურმე ძველად ერთობ დიდ და კარგს შედეგს იძლეოდა ამა თუ იმ ავადმყოფების განსაკურნებლად, როგორიც იყო ჭრილობისათვის უებარი წამალი ბალახი, ავი ზნისა და ბნედის სამკურნალო ბალახები. წინათ თურმე ბევრი გვყოლია ნამდვილი და მართალი ექიმბაშები, რომელნიც მართლა და დიდ სამსახურს უწევდენ ხალხს ბუნებრივი წამლობით. მისივე გადმოცემით, ძველ საქართველოში დიდად გავრცელებული ყოფილა უტყუარი და ნამდვილი მკურნალობა სიმღერით, გალობით, ნანინით, ჩონგურით, რითაც ამისი სპეციალური მცოდნე პირები კურნავდნენ თურმე მრავალნაირ ავადმყოფს. საერთოდ პოეტი ვერ მოესწრო მის სიცოცხლეში შეექმნა მისთვის სასურველ ფორმებში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ამ ძვირფასი საერო განძის, საუნჯის შეკრებასა და გადამუშავებას, რასაც აკაკი მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ნაწილობრივ მას ჰყავდა ამისათვის რამდენიმე პირი დაგზავნილი სოფლად, რომელნიც აგროვებდენ აღნიშნულ მასალებს და აკაკი შესწორებულს ბეჭდავდა თავის ჟურნალ-კრებულში დროგამოშვებით.

აკაკის მე ვიცნობდი დაახლოებით 1892 წლიდან. იგი მეტისმეტად უახლოვდებოდა და ემეგობრებოდა დაბალი წრის

ღარიბ ხალხს, გლეხებს, მუშებს — ნოქრებს, როდესაც მე მას გავეცანი და დავუახლოვდი, ახალგაზრდა ვიყავი და ვმსახურობდი ერთ პატარა წყლის ქარხანაში, მისი ზეგავლენით დავიწყე ქართული წიგნების გავრცელება სოფლად და ქალაქად, რკინიგზაზე. ვღებულობდი ხელმოწერას ჟურნალ „ქვალზე“ და აკაკის ყოველთვიურ კრებულზე. შემდეგ მას მივაყოლე იმ დროს აკრძალული წიგნები, ჟურნალები და სხვადასხვა ფურცლები, რის გამო 1905 წელს დამიჭირეს და გადასახლებას მიპირებდენ.

1895 წელს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ათიოდე კაცას ხელის მოწერით აკაკის დაახლოებით შემდეგი შინაარსის წერილი მივწერეთ: ჩვენ თქვენი ნაწერების და მოწოდების საშუალებით გაგებული გვაქვს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს დღევანდელი გაჭირვება და მის გასანთავისუფლებლად მზად ვართ პირველ თქვენ მოწოდებისთანავე თავი მოვუყაროთ ასობით ჩვენ ამხანაგს და ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი ძველი გმირები სამშობლოსათვის და რომელთა გმირობა და თავგანწირვა თქვენ გაქვთ მრავლად აღწერილი. ამის მნიშვნელობა ჩვენ შეგნებული გვაქვს. აკაკიმ ეს ჩვენ ყმაწვილურ ოცნებას მიაწერა, და იმავ დროს გვითხრა, რომ იმგვარ ბრძოლებზე ჩვენს დროში და.პირობებში მხოლოდ ბავშვებს თუ შეუძლიათ იფიქრონ, თორემ სერიოზულად მაგისთანა რამეებზე ფიქრი ჭკუასმყოფელ ადამიანებს არ შეუძლიათო. დღეს ჩვენი მხრივ დიდი გმირობა და ვაჟკაცობა ის იქნება, თუ შევინარჩუნებთ ჩვენ ფიზიკურ არსებობას, ქართულ ენას და მამაპაპათაგან ნაანდერძევ კარგ ადათებს — გაჭირვებულის მოძმის დახმარებას და შველას. მზად უნდა ვიყოთ და ცოცხალი დავხვდეთ იმ ბედნიერ დღესა და დროს, როდესაც ბრძოლა მართლა შესაძლებელი გახდება. ~~ახლა დრო კი აუ-~~

ბ. ბერძენიშვილის სახ. სამ. ბსრ სახელმწიფო რეპუბლიკური

ცილებლად დადგება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი დაჩაგრული ერები გამოიღვიძებენ. მაგრამ მე მაინც მახარებს თქვენი ყმაწვილური გატაცებაო.

*

ერთხელ რამდენიმე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი სოსიკო მერკვილაძის ძმასთან ვიყავით შეკრებილი. შინაურული საღამო იყო. აკაკიმ წაგვიკითხა თავისი ახლად დაწერილი პოემა „ნათელა". ჩვენ ყველანი აღტაცებაში მოვედით, პოეტს ვთხოვე მოეცა ნება ამ ნაწარმოების გამოცემისა. აკაკიმ გაიღმა, თუ მეტყვი, რა მოგეწონა ამ პოემაში, გამოცემის ნებას დაგრთავო. მე ვუთხარი ცოტნეს თავგანწირვა, ნათელას ინიციატივა, ხოლო რაც შეეხება ის შავბნელი დრო, რომელიც თქვენ პოემაში გაქვთ აღწერილი, ჩვენი დრო არის-მეთქი. აკაკი წამოდგა, მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და მითხრა: თანახმა ვარ გამოსცე ჩემი „ნათელა", ოღონდ წიგნს ძვირი ფასი არ დაადოთო.

შემდეგ გამოვეცი „თამარ მეფე", „გამზრდელი". გამზრდელის ამბავი აკაკის უამბო ჯანსუღ დადეშქელიანმა. ეს ნამდვილი ამბავია.

დავით აღმაშენებლის შესახებ აკაკიმ მიამბო: როცა დავითს გელათის ტაძრის აშენება დაუპირებია, გადაწყვიტა ისეთი ადგილი გამოეძებნა, რომელიც ყოვლის მხრით შემოზღუდული იქნებოდა მთით და დაფარული ტყით. ასეთი ადგილი მოძებნეს, მაგრამ იქ ერთი გლეხი ესახლა, რომლისთვის უთხოვიათ, აქ წმინდა სახლს ვაშენებთ, ამიტომ სხვაგან უნდა დაგასახლოთო, ოღონდ აქედან ისე უნდა წახვიდე, გული არ დაგწყდესო და ჯამებით თვალმარგალიტი მიუციათ. მაგრამ გლეხს უთქვამს მეფისათვის: თვალმარგალიტი მე არ მინდა.

მხოლოდ გთხოვთ სადმე აქ ახლოს მიწის ნაკვეთი მომეცით, რომ არ მოვშორდე ჩემს ძველ მამაპაპეულ სამოსახლო ადგილსო. მეფემ დააკმაყოფილა გლეხის თხოვნა და გამოუყო საცხოვრებელი ადგილი. ამის შემდეგ ეს გლეხი გელათის ტაძრის დარაჯად მუშაობდა, გვარად იყო ყაისარიშვილი.

აკაკის დავით აღმაშენებელი ძალიან უყვარდა, როცა სადმე მიდიოდა, ჯორი მიჰყავდა წიგნებით დატვირთული, უყვარდა კითხვაო, თამარ მეფეს გამზადებული სახელმწიფო დაახვედრაო.

მამა და შვილი

დილით სასტუმრო კოლხეთში შევედი აკაკის სანახავად. იგი შეწუხებული იყო, სადღაც მიეჩქარებოდა. მისალმების შემდეგ ამბავი ვკითხე და მითხრა: ჩემი შვილის, ალექსის დეპეშა მომივიდა, თუ არ დამეხმარე, თავი მოსაკლავი გამიხდებაო. რაღაც საოპერო დასი მოეწყო და იქ ზარალი ენახა და ფულსა სთხოვდა მამას ვალების გასასტუმრებლად. აკაკი ბანკში მიდიოდა რაღაც ქონების დასაგირავებლად. მე ცოტა დავანუგეშე და ვუთხარი: ნუ გეშინია, თუ ჭკვიანია, თავს არ მოიკლავს, ხომ იცით, ბატონო აკაკი, შოთამ რა თქვა „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსაო“. ჩემი ამგვარი უთანაგრძნობო პასუხი არ ეამა აკაკის და მითხრა: „შენ მეტი და უკეთესი პასუხი არ მოგეთხოვება, რადგან ჯერ მამა არა ხარ და მაგ სიტყვის პასუხი მაშინ მომეცი, როცა მამა შეიქნებიო“. მე მივხვდი, რომ ჩემი უხეში პასუხი ვერ იყო შესაფერი, მაგრამ რაღას ვიზამდი, ცოტა ვეთამამებოდი და იმიტომ მომივიდა ასეთი რამ“.

აი კიდევ ერთი საინტერესო მოგონება, რომელიც ეხება

აკაკი წერეთლისა და მიტროფანე ლაღიძის ურთიერთობას და რომელიც 1977 წლის 4 აგვისტოს გაზეთ „თბილისში“ გამოაქვეყნა ნ. კევლიშვილმა.

„— რუსთაველის თეატრის წინ, იქ, სადაც ახლა ოფიცერთა სახლია, — გვითხრა ერთხელ ალ. ახმეტელმა, ხესთან იდგა გამოჩენილი ქართველი მსახიობი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია, ხელში ჟურნალი ეჭირა და ათვალიერებდა, ვუთხარი, ბატონო ვალერიან, გეტყობათ, ეს ადგილი ძალიან მოგწონთ-მეთქი:

— მართალია, მომიგო მან, მიყვარს და მცირე ხნით რომ არ შევჩერდე, არ შემიძლიანო.

— როდესაც პერიოდულ გამოცემას „თეატრს“ ვრედაქტორობდი, — განაგრძო გუნიამ, აი იქ, — გაიშვირა ხელი ფოსტა-ტელეგრაფის შენობისაკენ, — ერთ ხესთან ხშირად მინახავს აკაკი წერეთელი. როდესაც ერთხელ კიდევ ვნახე, ცნობილ მეცენატს, უალკოჰოლო სასმელების სპეციალისტს მიტროფანე ლაღიძეს ესაუბრებოდა. ვერ მოვითმინე, მივედი და მეც თქვენსავით შევეკითხე, დღეს უკვე მესამედ გხედავთ ამ ადგილს, ბატონო აკაკი, ალბათ მოგწონთ-მეთქი.

— კი! — გამიღიმა აკაკიმ, — ამ პატარა თუთის ხეს ისე ვერ ჩავუვლი, რომ არ შევხედო და არ შევჩერდე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთი კარგი მოსაუბრე შემხვდებაო — მითხრა დიდმა პოეტმა და მიტროფანეზე მიმითითა“.

აკაკი წერეთელსა და მიტროფანე ლაღიძეს შორის ქუთაისში დაწყებული გულითადი მეგობრობა თბილისშიც გაგრძელდა. 1906 წლიდან, მას შემდეგ რაც მიტროფანემ თავისი წარმოება თბილისში გახსნა, დიდი პოეტი აქაც ხშირად ნახულობდა მას და მეგობრული საუბარი ჰქონდა ხოლმე, პოეტი თავისებური გადაკვრითა და ხუმრობით ეტყოდა მიტრო-

ფანეს, შენი რეცეპტით გამოშვებულმა ხილის ნატურალურმა უალკოჰოლო სასმელმა წყალმა ქუთაისურ ამბოხს აჯობა და ერთი შეეჯიბრე კახურ დიდებულ ამბოხსაცო.

პოეტი-აკადემიკოსი და გამოჩენილი მკვლევარი გიორგი ლეონიძე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ როგორ მოსწონდა სერგეი ესენინს ლაღიძის წყალი. წერილში „ორიოდე სიტყვა სერგეი ესენინზე“ იგი წერს:

„ლაღიძის სასმელი წყლიდან გამოვდივართ. იქვე, კუთხეში, ბრმა მეჩონგურე მღერის:

„რა კუყოთ, რომ შავი ვარ,
დამწვარი ვარ მზისაგან,
მეც ხომ ადამიანი ვარ,
გაჩენილი ღვთისაგან“.

— რასა მღერის? — შემეკითხა ესენინი.

— ბიბლიას!

— როგორ? — გაოცდა იგი.

— სოლომონის ქებათა ქებას. „შავი ვარ და მშვენიერი... ნუ მხედავთ მე რამეთუ შავებულვარ“. მღერის როგორც დღევანდელს ლექსს. თითონაც არ იცის, რომ ეს სიყვარულის ლექსი ორი ათასი წლის სიძველისაა! — ვეუბნები მე.

— რა საოცარია! დგას ჩაფიქრებული ესენინი და დიდხანს შემომყურებს ღიმილით.

— ლაღიძესთან დაკავშირებით მინდა ისიც გავიხსენო, რომ მის წყლებში ჩვენ გვიყვარდა შინდის წყალი (სისხლისებურად რომ აჩქეფდებოდა ხოლმე ჭიქაში). ესენინიც უფრო შინდის წყალს თხოულობდა და რატომღაც მგონია ამ სტროფის ბოლო სტრიქონი „ლაღიძით“ უნდა იყოს დავალებული!

Прости Кавказ, что я о них
Тебе промолвил ненароком,

Ты научи мой русский стих
Кизиловым струиться соком».

მიტროფანე ლაღიძემ უალკოჰოლო სასმელების დამზადების საკითხი საქართველოში მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა და ამით ავტორიტეტი შეუქმნა მის ფართოდ გამოყენება-მოხმარებას, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ერთ-ერთ წერილში მიტროფანე ლაღიძე წერს:

„1900 წლიდან საქართველოში მე შემოვიღე საუკეთესო ნატურალური წყლების, წვენებისა და სიროფების დამზადების ახალი მეთოდები, წესები და რეცეპტურები, რომლის წესით დამზადებული წყლები ხარისხის მხრივ მოწონებულ და ღირსეულად შეფასებულ იქნა ფართო საზოგადოების მიერ. ამ რეცეპტურით დამზადებული წყლები, როგორც გემოთი, ისე სურნელოვანებით საამურია და ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა იმიტომ, რომ ჩემი მეთოდით დამზადებულ სასმელებში არ იხმარება არავითარი სინთეტიური ესენციები და ქიმიკატები. აღნიშნული სასმელები არა ერთხელ გავგზავნე სხვადასხვა გამოფენაზე, როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარგარეთაც და ყველგან ჩემი რეცეპტით დამზადებული სასმელები მოწონებულ იქნა. მაგალითად, 1913 წელს პეტერბურგის ჰიგიენურ გამოფენაზე მაღალი და განსხვავებული ხარისხის ხილეული სასმელების დამზადებისათვის დიდი ოქროს მედალი მივიღე. აგრეთვე სხვადასხვა გამოფენაზე მივიღე პატარა ოქროსა და ვერცხლის მედლები ხილეულის წყლების საუკეთესო ღირსებისა და ხარისხისათვის"[1].

როგორც დიდი და მოწინავე სპეციალისტი, მიტროფანე

---

1 ვსარგებლობ მიტროფანე ლაღიძის ოჯახში დაცული პირადი არქივის მასალებით.

ლაღიძე მიიწვიეს მოსკოვში. იქ მას საუბარი ჰქონდა მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელებთან. მას დაავალეს მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში გაეხსნა უალკოჰოლო ხილეული წყლების საფირმო მაღაზია. გარდა ამისა, 1934 წელს მიტროფანე ლაღიძე უკრაინის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობამ მიიწვია კიევში, სადაც ის შეხვდა კოსიორსა და პოსტიშევს, რომლებმაც სთხოვეს უკრაინის ქალაქებში გაეხსნა ხილეული წყლების საფირმო დარბაზები. მიტროფანე ლაღიძემ კიევში წაიკითხა რამდენიმე მოხსენება, ლიმონათის ქარხნების მუშებს გააცნო თავისი რეცეპტურით დამზადებული სურნელოვანი წყლების დამზადების წესები.

„ეს ჩემი გაუმჯობესებული რეცეპტურა, — წერს ლაღიძე, — აგრეთვე გადავეცი მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის უალკოჰოლო წყლების ქარხნებს, სადაც 1934 წელს მიმიწვიეს საკონსულტაციოდ. ჩემი მეთოდით დამზადებული უალკოჰოლო სასმელი წყლები, მოსკოვის მიერ დამტკიცებულ რეცეპტურასთან შედარებით, გაცილებით უკეთეს ხარისხის სასმელ წყლებს იძლევა. მის დასამზადებლად აგრეთვე ბევრად ნაკლები ძვირფასი დეფიციტური მასალები იხარჯება, ვიდრე მოსკოვის მიერ დამტკიცებული რეცეპტურით. ამასთან ეკონომიას აძლევს სახელმწიფოს“[1].

მიტროფანე ლაღიძის სურნელოვანი წყლებით, მისი დაყენების მაღალი ტექნოლოგიით მრავალი ქვეყანა დაინტერესდა და არაერთხელ მიუღია მოწვევა ირანიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან, რათა ამ ქვეყნებში გაეხსნა თავისი წარმოება. ამისათვის უცხოელი საქმოსნები მეტად ხელსაყრელ

---

1 ვსარგებლობ მიტროფანე ლაღიძის ოჯახში დაცული პირადი არქივის მასალებით.

პირობებს პირდებოდნენ მიტროფანეს — კაპიტალურ დაბანდებას თვითონ კისრულობდნენ და შემოსავლის ნახევარს მას აძლევდნენ. მაგრამ არც ერთი ქვეყნის საქმოსანთა წინადადება მას არ მიუღია.

1952 წელს გაზეთ „კომუნისტის“ მოსკოველი კორესპონდენტი წერდა: „საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტი გამოსაშვებად ამზადებს ახალ სასმელს „ლიმონათს“ მ. ლაღიძის რეცეპტის მიხედვით. ეს ახალი მასობრივი სასმელი დაიკავებს საბჭოთა კავშირის უალკოჰოლო სასმელების სამრეწველო პროდუქციათა 40 პროცენტს.

გარდა ამისა, გადასინჯულია ამჟამად არსებული რეცეპტურა სხვა სასმელებისაც, როგორიც არის „მსხალი“, „კრემსოდა“, „სიტრო“, „შვინდი“, „მანდარინი“ და სხვ. ძირითადად მიღებულია მ. ლაღიძის რეცეპტურა.

მ. ლაღიძე დანიშნულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს „გლავფრუქტოვოდის“ მთავარ კონსულტანტად. მას დავალებული აქვს თვალყური ადევნოს მთელ ჩვენს ქვეყანაში უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესებას“[1].

ეს იყო უდიდესი ნდობა, პატივისცემა და აღიარება, რომელიც მიტროფანე ლაღიძის კეთილშობილურმა შრომამ, პროფესიულმა ოსტატობამ და გამოცდილებამ დაიმსახურა.

ჩვენს დიად ქვეყანაში მიტროფანე ლაღიძემ პირველმა შეიმუშავა ხილის ნატურალური წვენებით უალკოჰოლო სასმელების დამზადების ტექნოლოგია. აქ მნიშვნელოვანი და საყურადღებო ის არის, რომ მისი რეცეპტით დამზადებულმა ხილეულის წყლებმა ბევრი ჩვენი ახალგაზრდა გადააჩვია ალ-

---

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1952 წ. 11 დეკემბერი, № 291.

კოპოლიანი სასმელების უზომო მიღებას. ამიტომაა, რომ წლის რომელი თვეც უნდა იყოს — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ სუსხიანი ზამთარი— მუდამ ხალხით სავსეა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე დარბაზი, სადაც იყიდება მიტროფანე ლაღიძის სახელით ცნობილი ხილეულის წყლების ტკბილი სასმელები; ამ ლამაზად გაფორმებულ დარბაზისაკენ ყველას მიეჩქარება, ყველა მიისწრაფვის — მოხუცი თუ ახალგაზრდა, მუშა და ინჟინერი, მწერალი თუ მსახიობი.

კარგად წერდა ამ რამდენიმე წლის წინათ იუმორისტული ჟურნალი „ტარტაროზი“.

უკვე დაიწყო სიცხე, დგება ბუღი და ალი.
რა გვეშველება, თუ კი არ ვსვით ლაღიძის წყალი.

დარბაზში ნახავთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის შორეული კუთხეებიდან, არამედ ტურისტული საგზურებით ჩამოსულ უცხოელებსაც, რომლებიც სურნელოვანი ხილეულის წყალს დინჯად, აუჩქარებლად ნელ-ნელა სვამენ, დეგუსტატორივით სიამოვნებით აჭაშნიკებენ ლიმონისა თუ მანდარინის, ასკილისა თუ ქოლოს წვენს, ამ შვებისმომგვრელ გამაგრილებელ სასმელს. თუ ავადმყოფი აბესალომი განკურნებისათვის უკვდავების წყაროს ალგეთში ეძებდა, ასეთი წყაროა ჩვენ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე, საოპერო თეატრის გვერდითა გვაქვს, რომელსაც ეძახიან მიტროფანე ლაღიძის ხილეულის სურნელოვან უალკოჰოლო სასმელს.

მიტროფანე ლაღიძის მთელი ხანგრძლივი მოღვაწეობა შორს სცილდება წმინდა კომერციულ საქმიანობას. ის იყო ქველმოქმედი მრეწველი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობითა და გაგებით. ვფიქრობთ, მთელი მისი წარმოება უფრო მეცნიერულ-ექსპერიმენტულ ლაბორატორიას წარმოადგენდა,

სადაც მიმდინარეობდა შეუნელებელი ძიება ხილეული სურ-
ნელოვანი წყლების გაუმჯობესებისა.

როდესაც ვეცნობით საქართველოს მრეწველობის ისტო-
რიას, ამ მრეწველობის თავკაცთა საქმიანობასა და მოღვაწეო-
ბას, ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ ერთი წილი ქართველი
მრეწველებისა ხელგაშლილი იყვნენ, ეროვნულ საქმეებს ისე
ეკიდებოდნენ, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწენი, დიდი
მამულიშვილები. ამის შესანიშნავ მაგალითს იძლევა დავით
სარაჯიშვილი, რომელმაც მთელი თავისი ქონება სიცოცხლე-
შივე ქართველ ხალხს დაუტოვა და ანდერძით აღნიშნა, რომ
მთელი მისი ფული მოხმარდეს თეატრებისა და მუზეუმების,
სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამკითხველოების
შენება-გახსნას, ძეგლების დაცვა-აღდგენას, ძველი ხელთნაწე-
რების შეძენასა და ხელოვნების ღარიბი მუშაკებისათვის დახ-
მარებას და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებებისათვის ხე-
ლის შეწყობას. დავით სარაჯიშვილმა ნიკო ცხვედაძეს უმაღ-
ლესი სასწავლებლის ასაშენებლად 60000 მანეთი მისცა და
უთხრა: გეთაყვა, თუ ფული კიდევ დაგჭირდება, მითხარი და
მოგცემო. დავითის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ
ეკატერინე ფორაქიშვილმა დარჩენილი ფული და სხვა სიმ-
დიდრე ქართველ საზოგადოებრიობას გადასცა.

დავით სარაჯიშვილი იყო ჭეშმარიტი ეროვნული მოღვა-
წე, მისი გარდაცვალების დღეებში აკაკი წერეთელი, იაკობ
გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე
და სხვა ჩვენი საზოგადო მოღვაწეები წერდნენ, რომ რაც
ქართველი საზოგადოებიდან მიიღო დავით სარაჯიშვილმა,
ქართველ ხალხს უკანვე დაუბრუნაო.

„ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამია-
ნი, ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი“.

ასეთი ანდერძი დაუტოვა დავით სარაჯიშვილმა ქართველ ხალხს, ქართველ ახალგაზრდობას. ვის შეეძლო ასეთი სიტყვები დაეწერა და დაეტოვებინა ანდერძად, თუ არა იმ ადამიანს, რომელსაც გულში ერის სიყვარული და პატივისცემა ულვივოდა და უნათებდა. ანდა, როგორც იაკობ გოგებაშვილი წერდა დ. სარაჯიშვილის შესახებ: „ყმაწვილობიდან გულში ღრმად ჩაენერგა სამსახური თავისი ქვეყნისა, მისი სიკეთე, მისი შვება და ლხენა, მისი ჭირ-ვარამის შემცირება და მოსპობა“.

მიტროფანე ლაღიძეს მუდამ გვერდში ედგა შრომისმოყვარე, გამჭრიახი და ნაზი ბუნების მქონე მეუღლე ოლიმპიადა ანდრიას ასული ვახანია. ის დაიბადა 1883 წელს ზუგდიდში დეკანოზ ანდრია ვახანიას ოჯახში. ანდრია ითვლებოდა პლატონ იოსელიანის ნიჭიერ მოწაფედ. ოლიმპიადა სწავლობდა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ თავისი ცხოვრება დაუკავშირა მიტროფანე ლაღიძეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალი შვილის დედა იყო, მაინც დიდ დახმარებას უწევდა მეუღლეს მის მიერ წამოწყებულ საქმის გაძღოლაში. ოლიმპიადა კარგად ერკვეოდა ხილეული წყლების დამზადების ტექნოლოგიაში, ჰქონდა ჩინებული გემოვნება, ხელმძღვანელობდა მიტროფანეს დაწყებულ მრავალ სამეურნეო საქმეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

ლაღიძე მუდამ ახლის ძიებაში იყო, რითაც ამდიდრებდა ჩვენი ერის მრეწველობის ისტორიას და საფუძველს უყრიდა ახალ-ახალ წამოწყებებს. ასე, მაგალითად, სამთო და ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვან ობიექტს — ბარიტის მოპოვებას, რომელსაც იყენებენ საღებავების დასამზადებლად, საქართველოში საფუძველი პირველად მიტროფანემ ჩაუყარა.

მას ბარიტი შემოჰქონდა ქუთაისიდან—ახლომდებარე სოფელ ქონეთის საბადოდან, წინასწარი დამუშავებისა და ვამდიდ-

ოლიმპიადა ვახანია-ლალიძისა
(1883—1942).

რების შემდეგ მას პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში გზავნიდა.

დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ჩვენს დროში უალკოჰოლო სასმელების ქარხანასთან თბილისში მისი ინიციატივით აშენდა ნახშირმჟავა გაზის ქარხანა ახალი პროგრესული ტექნოლოგიით. ფაქტიურად ეს ქარხანა ერთადერთი ობიექტი იყო, რომლის ტიპური დანადგარებისა და მოწყობილობის შესასწავლად პრაქტიკას გადიოდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებიც.

მიტროფანე ლალიძეს არ ჰქონდა ისეთი სიმდიდრე, როგორც დავით სარაჯიშვილს, მაგრამ რაც გააჩნდა, კეთილშობილურად და დაუზარელად ახმარდა ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხალხს. „მე ფული არ მქონდა, — წერს მიტროფანე, — მაგრამ ვაგროვებდი ვაჭარ-ნოქრებს შორის და ქუთაისში მოქმედ რევოლუციონერებს ვეხმარებოდი“. ასე იქცეოდა ის ყველგან — ქუთაისსა თუ თბილისში, მოსკოვსა თუ პარიზში. იგი ერთნაირად საყვარელი იყო ჩვენი მშრომელი და პატიოსანი ხალხისათვის, მწერალი იყო თუ მუშა, გლეხი თუ მასწავლებელი, ინჟინერი თუ აგრონომი. სწორედ სამშობლოს, ხალხის სიყვარულმა შეაძულა მიტროფანეს მეფის რეჟიმი და იმ აზრამდე მიიყვანა, რომ გამხდარიყო რევოლუციონერი და აქტიური მონაწილეობა მიეღო საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში.

ქუთაისის ინტელიგენცია მთელ საქართველოში მოწინავე და განათლებული ინტელიგენცია იყო, იგი რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა და მშრომელ ხალხში აღვივებდა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. ეს ინტელიგენცია ქუთაისის ცნობილ ბულვარში, რომელსაც ერთ დროს აკაკი წერეთელმა პარლამენტი უწოდა, სისტემატურად თავს იყრიდა და კამათობდა რევოლუციასა და მარქსის მოძღვრებაზე. ამ დავასა და კამათში ახალგაზრდა მიტროფანე მხურვალედ მონაწილე-

ობდა და პრაქტიკულად ეხმარებოდა გამოჩენილ რევოლუციონერებს. ცნობილი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია ახლოს იცნობდა მიტროფანე ლაღიძეს. თავის მოგონებაში, რომელიც მან დაბეჭდა 1923 წელს გაზეთ „კომუნისტში", წერს, რომ 1893 წელს გაზაფხულზე კინაღამ ჩაგვეშალა საზღვარგარეთიდან არალეგალური ლიტერატურის მიღებაო. ტრანსპორტი ვარშავაში დაიჭირეს და მხოლოდ 3—4 წლის შემდეგ მე მოვახერხე ქუთაისით (იმ დროს აფთიაქის მოწაფის მიტროფანე ლაღიძის მიერ მოცემული მისამართით) მთელი კავკასიისათვის არალეგალური ლიტერატურის ჩამოტანაო.

მიტროფანე ლაღიძის პირად არქივში დაცულია მეტად საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც მისთვის მიუცია ქუთაისის საარქივო სამმართველოს. მასში აღნიშნულია, თუ როგორ დევნიდნენ და ავიწროვებდნენ მიტროფანეს ქუთაისის ჟანდარმერიის აგენტები რევოლუციური მოღვაწეობისათვის. თითოეულ ამ დოკუმენტში ნათლად ჩანს ახალგაზრდა კაცის გაუტეხელი და მტკიცე ხასიათი[1].

1904 წელს მიტროფანე ლაღიძემ საშა წულუკიძის, მიხა ცხაკაიასა და ივანე გომართლის წინადადებით თავის ქარხანაში შემოიღო რვასაათიანი სამუშაო დღე, რაც იმ დროისათვის მეტად იშვიათი მოვლენა იყო. 1890 წლიდან 1917 წლამდე მიტროფანე აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში და თავდადებით, დაუზარელად ეხმარებოდა გამოჩენილ რევოლუციონერებს. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1897 წელს მიხა ცხაკაიამ მოაწყო საზღვარგარეთიდან ქუთაისში არალეგალური ლიტერატურის გამოგზავნა, რო-

---

1 იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1923 წელი, 14 მარტი, № 57. მიხ. ცხაკაიას წერილი „რუსეთის კომპარტიის არსებობის 25 წლისთავზე".

მელსაც მიტროფანე პირადად ღებულობდა იმ მისამართით, რომელიც მან ცხაკაიას ადრე მისცა. შემდეგ საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან მიღებულ არალეგალურ ლიტერატურას იგი უშიშრად ავრცელებდა ქუთაისში, თბილისში, ჭიათურასა და ბათუმში. არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისა და გაფიცვის მოწყობისათვის, როგორც ეს საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, მეფის მთავრობამ იგი სამჯერ დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში ჩასვა. მას მისჯილი ჰქონდა გადასახლება. როგორც ამავე დოკუმენტებიდან ირკვევა, მიხა ცხაკაიასა და საშა წულუკიძის დავალებით იგი ქუთაისში აწყობდა მუშების, ნოქრებისა და მოწაფეების საიდუმლო კრებებს, სადაც გამოდიოდნენ მიხა ცხაკაია, საშა წულუკიძე, ალიოშა ჯაფარიძე და სხვები.

1903 წელს საშა წულუკიძის დავალებით მიტროფანე ლაღიძე ქუთაისში მონაწილეობდა მაღაზიების, ქარხნის მუშების, სასწავლებლებისა და სახელოსნოების მუშა-ახალგაზრდობის მიერ მოწყობილ საპროტესტო სამდღიან დემონსტრაციაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე ქუთაისის ციხის გვირაბის გაყვანასა და ციხიდან რევოლუციონერების გაქცევაში. გაქცეულთაგან რვა კაცი მიტროფანემ გაგზავნა სოფელ გოდოგანში და იქ ჰყავდა დამალული.

მკითხველისათვის ცნობილია, რომ ეს წლები დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში მეტად მძიმე იყო. იმხანად საქართველოში რევოლუციის წინააღმდეგ ამოქმედდა მეფის ადმინისტრაციის მთელი აპარატი, რომელსაც მეთაურობდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, თავისი მხეცური სისასტიკით ცნობილი ალიხანოვ-ავარსკი, სწორედ ის ალიხანოვი, რომელმაც გადაწვა და გაანადგურა დასავლეთ საქართველოს მრავალი სოფელი და ქალაქი. მაგრამ რევოლუციონერებს ფარხმა-

ლი მაინც არ დაუყრიათ და განაგრძობდნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლებში მიტროფანე ლაღიძეც აქტიურად მონაწილეობდა.

„ამ მოწინავე ადამიანების გვერდით, — წერს აკადემიკოსი კ. ერისთავი, — არ შემიძლია არ დავასახელო მიტროფანე ლაღიძე, ცნობილი ლაღიძის წყლების ავტორი. ეს ხალხი მთელ ქართველ ინტელიგენციასთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა ყოველ პროგრესიულ წამოწყებას, როგორც თავისი ცოდნით, ასევე მატერიალურადაც“[1].

ილია ჭავჭავაძის თანამედროვე მწერალი და კრიტიკოსი ილია ბახტაძე 1957 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ წერდა: „მახსოვს, 1906 წელს, როდესაც ქუთაისში გუბერნატორობიდან გადააყენეს ვლადიმერ სტაროსელსკი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ილია ჭავჭავაძის ცოლის ოლღა გურამიშვილის და, ხოლო გუბერნატორად მხეიცი ალიხანოვ-ავარსკი დანიშნეს, დააპატიმრა უალკოჰოლო წყლების ცნობილი ოსტატი მიტროფანე ლაღიძე და გაძლიერებული ძებნა დაუწყეს მის ძმას მიხაკოსაც.

მიტროფანე ლაღიძის დაპატიმრებამ ქუთაისში საგრძნობლად შეაფერხა მისი ლიმონათის ქარხნის მუშაობა, რომელიც ნაუკეთესო გემოსა და სურნელების უალკოჰოლო წყლებს ამზადებდა. ამან ბევრი ჩვენი საზოგადო მოღვაწე დააღონა. დიდად განიცადა მიტროფანე ლაღიძის დაპატიმრება აკაკი წერეთელმა, რომელიც დაახლოებული იყო მიტროფანეს ოჯახთან. მას ჩვენში ბევრი კარგად იცნობდა არა მარტო როგორც უალკოჰოლო წყლების გამოჩენილ ოსტატს, არამედ რო-

---

1 კონსტანტინე ერისთავი — „მოგონება“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973, გვ. 40.

გორც ჩვენი ყოველგვარი კულტურული საქმიანობის აქტიურ ხელშემწყობსა და დამხმარეს. იგი ქუთაისში ეწეოდა ქართული წიგნების გამოცემას, მას საკუთარ ბიბლიოთეკაში ახლაც დაცული აქვს 90-იან და შემდგომ წლებში მის მიერ გამოცემული აკაკი წერეთლის, პარმენ თვალჭრელიძის (ცახელის) ლექსების კრებული და სხვა ავტორების ნაწერები, აქტიური წევრი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, დრამატული საზოგადოების და ზოგჯერ ფულითაც ეხმარებოდა ჩვენს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც მეფის მთავრობის დროს ხშირად დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდნენ.

ქუთაისში ვიყავი, როდესაც მიტროფანე ლაღიძეს მეფის მთავრობამ ადმინისტრაციული წესით ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა. გადასახლებიდან რომ დაეხსნათ, მახსოვს, მაშინ ქუთაისში ბევრი გავლენიანი პირი დატრიალდა, მაგრამ ამაოდ. როდესაც ლაღიძის მეუღლემ, რომელიც საზოგადოებრივ საქმიანობაში არ ჩამორჩებოდა ქმარს, დაინახა, საქმე ცუდად იყო, თბილისს მიაშურა, პირადად ინახულა ილია ჭავჭავაძე, უამბო თავისი უბედურება და სთხოვა, მისი ქმარი როგორმე გადასახლებიდან დაეხსნა, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა, უკიდურეს შემთხვევაში „ეტაპით“ ციმბირში გაგზავნა მაინც აეცილებინა. ილია ჭავჭავაძემ, რომელიც პატივსა სცემდა მიტროფანე ლაღიძეს, როგორც უალკოჰოლო წყლების საუკეთესო ოსტატს და საქართველოში კულტურული საქმიანობის ერთ-ერთ ხელშემწყობს, როგორც იქნა, მოახერხა მისი განთავისუფლება.

მას შემდეგ არ გასულა დიდი დრო და მიტროფანემ აკაკი წერეთლის რჩევითა და ილია ჭავჭავაძის დახმარებით 1906 წლის ბოლო თვეებში თბილისშიც გახსნა უალკოჰოლო სასმე-

ლების ქარხანა. წყლების გასაყიდად გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე მოაწყო მაღაზია. მან წყლების ფირმის ქართული წარწერა ზემოთ გააკეთა, ხოლო რუსული ქვემოთ, რაც მეფის მთავრობის დროს აკრძალული იყო. მახსოვს, მიტროფანე ლაღიძეს მეფის მოხელეებმა ეს დიდ დანაშაულად ჩაუთვალეს და დაპატიმრება მოუნდომეს, მაგრამ იგი კვლავ ილიამ გადაარჩინა.

როგორც ილია ჭავჭავაძის თანამედროვეს, ძალიან კარგად მახსოვს: ჩვენში ყველას, ვინც ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, დიდი იქნებოდა ის, თუ პატარა, ყოველთვის ხელს უწყობდა და ის დახმარებაც, რომელიც მან 1906 წელს ორჯერ აღმოუჩინა მიტროფანე ლაღიძეს, ნამდვილად მამულიშვილური დახმარების განსახიერება იყო.

მიტროფანე ლაღიძის დამზადებული უალკოჰოლო წყლები დღეს სახელგანთქმულია არა მარტო საქართველოში, არამედ დიდი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში და საზღვარგარეთაც".

1930 წელს მიტროფანე ლაღიძე აფხაზეთში ცნობილმა რევოლუციონერმა ნესტორ ლაკობამ მიიწვია სამუშაოდ. იგი გაემგზავრა სოხუმში, სადაც მისი ხელმძღვანელობით აშენდა ხილეული წყლების ქარხანა. აქ მუშაობდა მისი ცოლისძმა ნ. ვახანია და მიტროფანეს შვილი, ამჟამად ცნობილი პროფესორი რამაზ ლაღიძე. ლაღიძის წყლებმა ფართო პოპულარობა მოიპოვა არა მარტო სოხუმელ, არამედ უცხოელ ტურისტთა შორისაც.

მიტროფანე ლაღიძე მრავალი დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმის ხელმძღვანელი და წამომწყები იყო. გარდა იმისა, რომ იგი, როგორც თვითონ წერს, ავტორია და შემქმნელი

მანამდე ჩვენთვის უცნობი ხილეული წყლების რეცეპტისა[1], ის ეკონომიკურადაც ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ქართველ მწერლებს, მსახიობებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს.

ლაღიძემ ქუთაისში დააარსა საგამომცემლო ამხანაგობა, სადაც ბეჭდავდა ქართველი მწერლების თხზულებებს და ავრცელებდა ხალხში. ამით ის ხელს უწყობდა ჩვენი მწერლობის პოპულარობას ფართო მასებში.

1896 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" წერდა: „მ. ლაღიძის, კილაძისა და ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა „ხუმრობა" აკაკისებურად და ღირს ერთი შაური. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ ბოლო დროს იაფფასიანი წიგნები ბლომად იბეჭდება", და იქვე გაზეთის კორესპონდენტი სთხოვს წიგნების გამოცემის ამხანაგობას, რომ უფრო მეტი გამოსცენ იაფფასიანი ბროშურები, იაფფასიანი წიგნები, რომ ხელმისაწვდომი გახდეს ჩვენი დროის ეკონომიკურად ღარიბი მკითხველისათვის, რომელსაც ძვირად ღირებული წიგნების ყიდვა უჭირს.

მიტროფანე ლაღიძე ახალგაზრდობიდანვე ეძებდა სამოღვაწეო კუთხეს, სადაც მას მეტი შესაძლებლობა, მეტი გაქანება მიეცემოდა, რომ ერში, თავის ხალხში სახელი და დიდება დაემკვიდრებინა. ამიტომ ის პირველად ხელს ჰკიდებს ისეთ დიდ და კულტურულ საქმეს, როგორიც წიგნების გამოცემაა და

---

[1] ნარკვევში ფართოდ არ შევხებივართ მიტროფანე ლაღიძის რეცეპტით გამოშვებული სურნელოვანი წყლების დამზადების ტექნოლოგიურ მხარეს. ამის შესახებ არსებობს საინტერესო გამოკვლევები, რომლებიც ეკუთვნის თვით მიტროფანე ლაღიძეს („უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში"), მეორე კი — მის შვილს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს რამაზ ლაღიძეს („უალკოჰოლო სასმელები"). ეს უკანასკნელი დაბეჭდა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ" 1953 წელს.

მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ მეტად ეროვნულ საქმეში. ის ხალხში აღვივებს წიგნისადმი ინტერესს და სიყვარულს. როგორც ვთქვით, ძველად წიგნის გამოცემის საქმე მეტად რთული იყო და მძიმე, არა მარტო ეკონომიკური უსახსრობის გამო, არამედ იმის გამოც, რომ მეფის ცენზურა ყოველგვარ პროგრესიულს და მოწინავე აზრს სასტიკად სდევნიდა და ავიწროებდა. ვინ იცის, რამდენი დაბეჭდილი და აკინძული, ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი წიგნი მეფის ცენზურას აუკრძალავს, მოუსპია და გაუნადგურებია, ისე რომ ფართო მკითხველს მისი არსებობა არც კი გაუგია. ასეთ სასტიკ საცენზურო პირობებში ქართული კულტურისა და წიგნის მოყვარულნი დიდი გარჯითა და წვალებით მაინც ახერხებდნენ წიგნის გამოცემას. ისინი არ უშინდებოდნენ მოსალოდნელ საფრთხეს და რაინდულად განაგრძობდნენ წიგნების გამოცემას.

1898 წელს მიტროფანე ლაღიძემ გამოსცა ქართველი მწერლების პოემების კრებული, ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“, აკაკი წერეთლის „მომაკვდავის ჩვენება“, ვახტანგ ორბელიანის „იმედი“ და სხვა. აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით მან 1908 წელს ქუთაისში გამოსცა აკაკის საიუბილეო კრებული, „წმინდა ნინო და ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“. წიგნს ყდაზე აწერია: „მთელი ამ გამოცემის შემოსავალს, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, ვუძღვნი დიდებულ იუბილარს აკაკის 50 წლის მოღვაწეობის სახსოვრად“.

ასეთი თავდადებით უყვარდა მიტროფანე ლაღიძეს ქართული ლიტერატურა და ქართული ხელოვნება.

მიტროფანე ლაღიძე აგრეთვე ბეჭდავდა წერილებსა და კორესპონდენციებს „ივერიაში“, „კვალში“, „სახალხო გაზეთში“, „დროებაში“, „ცნობის ფურცელში“. იგი თავის წერილებ-

ში მკაცრად აკრიტიკებდა მაშინდელ საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობას და ხალხთა სიდუხჭირეს, აანალიზებდა და აღნიშნავდა, რომ საჭიროა ხალხს მიეცეს თავისუფლება, თავისი ცხოვრების უკეთ მოწყობის საშუალება და უფლება.

როგორც ცნობილია, ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მთელი ლიტერატურა შექმნეს დავით სარაჯიშვილის ეროვნული მოღვაწეობის შესახებ. და მერე ვინ არიან ამ ლიტერატურის შემქმნელები? ჩვენი დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, მოსე თოიძე, ივანე მაჭავარიანი და სხვები.

მიტროფანე ლაღიძე თავისი კეთილსინდისიერებით, კაი კაცობითა და ეროვნული მოღვაწეობით, მართლაც, მეორე დავით სარაჯიშვილი იყო, ამის სანიმუშოდ ჩვენ მოვიყვანთ მეტად საინტერესო მოგონებას, რომელიც ეკუთვნის გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იოსებ იმედაშვილს.

„ჟურნალის განახლებას ნებართვა უნდა, რადგან ჩემს სახელზე ნებას აღარავინ მომცემს, ცოლის სახელზე ნებართვის აღებას კი მარკა დასჭირდებოდა... ამ ფიქრით სახლის პირდაპირ ეკლესიის გალავანს მივეყრდენ, ფიქრში წავედი. შევნიშნე ჩემკენ მომავალი მიტროფანე ლაღიძე.

— გამარჯობა, იოსებ!

— გაგიმარჯოს!

— რასა იქ, რას ჩაფიქრებულხარ?

— გეთაყვა, მიტროფანე, თუ შეგიძლიან, ერთი ან ორი მარკა უნდა მიბოძო (რადგან ვიცოდი, რომ ამას მარკები მუდამ ჰქონდა).

მიტროფანემ ალბათ გაიფიქრა: „ფულის თხოვნა ვერ გაუბედნია, მარკას თხოულობსო“. ამიტომ საფულე გადამიშალა და მითხრა:

— რამდენიც გნებავს, ინებე.

საფულეში ოქროს ხუთმანეთიანები და მანეთიანები ბრჭყვიალებდა.

— არა, მიტროფანე, ფული არ მინდა, მარკები მინდა, მარკები[1].

— მარკები გინდა?

— დიახ, ჟურნალის გამოცემა უნდა განვაახლო და ამისათვის მარკები მჭირდება, ორი თხუთმეტშაურიანი მარკა.

— ჟურნალი უნდა განაახლო? კარგია, — მითხრა და საფულეს მეორე განყოფილება გადახსნა, ორი მარკა მომცა და მითხრა:

— რა ეღირება?

— ალბათ ისევ ხუთი მანეთი.

— მაშ, აი ორი ნომერიც მე გამომიგზავნე, — მითხრა და ამასთანავე ორი ოქროს ხუთიანი გამომიწოდა.

— ბატონო მიტროფანე, იქნებ ნება არც კი მომცენ.

— სულ ერთია, აიღე. შენ თუ მოინდომე, ნებასაც იშოვი.

ორი ოქროს ხუთიანი ჯიბეში ჩამიდო.

მიტროფანეს ამ გულისხმიერებამ ისე აღმიტაცა, რომ საჩქაროდ ავირბინე სახლში, არზა დავწერე გუბერნატორის სახელზე ჩემი მეუღლის ანა ჟურულის მაგივრად და ხელმოსაწერად გავუწოდე"[2].

მიტროფანე ლაღიძე, როცა ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ამა თუ იმ მწერალსა და ლიტერატორს, თავიდანვე კარგად ერკვეოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერის სახელოვანი

---

1 იგულისხმება ღერბის მარკები, რომლებსაც აკრავდნენ თხოვნას რაიმე ნებართვის მისაღებად — ა. ხ.

2 ი ო ს ე ბ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი — „ჩემი ცხოვრების წიგნი". გამომცემლობა „ხელოვნება", 1978, გვ. 170.

ისტორიის აღსანუსხავად ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებასა და წინსვლას.

როდესაც საგურამოში ილიას განთქმულ პურ-მარილზე ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები შეიკრიბებოდნენ, — წერს არტურ ლაისტი, — მათში მუდამ მეგობრული სული ტრიალებდა, ისინი ერთ მთლიან ოჯახს შეადგენდნენ და მაშინდელ დროში სრულიადაც არ ფიქრობდნენ პარტიებად დაყოფას[1]. ეს მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ყველგან მეგობრობას, სიყვარულს, მამულიშვილობას და გულუხვობას ნერგავდნენ.

ილია ჭავჭავაძის მიერ ამ მეგობრობისა და პურ-მარილის დიდ ტრადიციას ჩვენში აგრძელებდნენ დავით სარაჯიშვილი და მიტროფანე ლაღიძე. ეს პურ-მარილი და მეგობრული შეხვედრა-გასაუბრება, რომელსაც ილია აწყობდა რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად ხან საგურამოში, ხან კი ყვარელსა და თბილისში, უბრალო ღრეობა და წრეს გადასული ლოთობა არ ყოფილა, არამედ აქ იყო პაექრობა და აზრთა ჭიდილი ჩვენი ხალხის გმირულ წარსულზე, მის ნათელ მომავალზე.

და როცა დავით სარაჯიშვილი ან მიტროფანე ლაღიძე აწყობდნენ ასეთ შეხვედრებს, ისინიც უსათუოდ ილიასეული საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ხასიათს ატარებდნენ. მიტროფანე ლაღიძე არაფერში არ იხევდა უკან, არც პურ-მარილის გამართვაში და არც გაჭირვებული ხელოვანის დახმარებაში. ვინ იცის, რამდენჯერ გაუწოდებია მას თავისი მადლიანი და გულუხვი ხელი ქუთაისსა თუ თბილისში მომუშავე გაჭირვებული და ღარიბი ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწისათვის.

---

[1] არტურ ლაისტი — „საქართველოს გული", გვ. 29.

ასეთი იყო ეს ხალხი, ასე დარჩება ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში.

„ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“ — რუსთაველის ამ სტრიქონს ხშირად იმეორებდა პაოლო იაშვილი და ჩვენც ამით ვიწყებთ იმ მცირე მოგონებას, რომელიც ვალერიან გუნიას, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და მიტროფანე ლაღიძის მეგობრობაზე მოგვითხრობს.

ქუთაისელ ინტელიგენციას მიტროფანე ლაღიძესთან განსაკუთრებული ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა, მაგრამ ვალერიან გუნიას, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, ვალერიან გაფრინდაშვილს სულ სხვა ურთიერთობა ჰქონდათ მიტროფანესთან. ამ ოთხმა რაინდმა სულ სხვა მეგობრობა იცოდა, ეს მეგობრობა იყო რაღაც უჩვეულო, მეგობრობისათვის ხიფათს არად აგდებდნენ და, როგორც ცოტნე დადიანი, უკან არ დაიხევდნენ, მეგობარს არ მიატოვებდნენ. აი, ერთი პატარა ეპიზოდი მათი მეგობრობის შესახებ.

1921 წელს მიტროფანე ლაღიძის წყლების ქარხანას რუსთაველის პროსპექტზე, იქ სადაც ამჟამად კავშირგაბმულობის სამინისტროა, ცეცხლი მოედო. ქარხანა ქვედა სართულზე იყო განლაგებული, ზემო სართული კი რომელიღაც დაწესებულებას ეკავა, და, აი, ამ შენობის ზედა ნაწილს, რაღაც ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლში გაეხვია ლაღიძის ქარხანაც. სასწრაფოდ სახანძრო რაზმი გამოიძახეს. ამ დროს დარეკეს ოპერა იწვისო და ეს სახანძრო რაზმი იქ გაგზავნეს, ვითომდა ცეცხლის ჩასაქრობად. ოპერას კი ცეცხლი არ გასჩენია. ეს იყო ბოროტმოქმედთა ხრიკები.

მიტროფანე ლაღიძის წყლების ქარხანაში ცეცხლის გაჩე-

ნის ამბავი მთელ თბილისს მოედო. აქვე გაჩნდნენ თბილისის მთელი ინტელიგენცია, მიტროფანეს მეგობარ-ნაცნობები, მათ შორის ვალერიან გუნია, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები.

მეხანძრეთა გარეშე დარჩენილ ცეცხლს შეუტიეს — უნდოდათ გადაერჩინათ მიტროფანე ლალიძის ქარხანა, ეს ოთხეული რამდენიმე საათს ცეცხლს უშიშრად ებრძოდა, განსაკუთრებით კი პაოლო, იგი შენობის ხან ერთ კუთხეში ეკვეთებოდა ცეცხლს და ხან მეორეში. ამ დროს მან შენიშნა რომ ფილოსოფიურად დაფიქრებული ნელი ნაბიჯით, აუღელვებლად მოდიოდა მიტროფანე.

— შენ, ჰეი, ბატონო მიტროფანე, როგორ დინჯად მოდიხარ, ხომ ხედავ ქარხანა იწვის, — ხმამაღლა უთხრა თურმე კვამლით მთლად გაშავებულმა პაოლომ. მიტროფანე კი მაინც დინჯად და აუჩქარებლად მოდიოდა.

შემდეგ ხშირად ამ ამბავს პოეტი სიცილით იგონებდა ხოლმე და ამბობდა: რა კაცია ეს მიტროფანე, როგორი დინჯი და აუღელვებელი! ჩვენ ყველანი გამურული ვიყავით კვამლით, ის კი აუფორიაქებელი იყო. თუმცაღა, — იგონებს პოეტი, — მის მშვიდ და წყნარ სახეს სევდა და დარდი გადაკრავდა მომხდარი შემთხვევის გამო.

ასეთი თავდადებული იყო პაოლო თავისი მეგობრებისა და ამხანაგების მიმართ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა.

ჩვენი კულტურის დიდი კერის — გელათის აკადემიასთან ახლოს, სოფელ ჭოლევში დაბადებული მიტროფანე ბავშვობიდან, ალბათ, ხშირად ისმენდა როგორც გელათელი განსწავლული ბერებისაგან, ისე მშობლებისაგან ქართველი ხალხის გმირული თავგადასავლის ისტორიას, ეცნობოდა მის უძველეს კულტურასა და ხელოვნებას, ამან თუ შეაყვარა ასე უზომოდ

ჩვენი ძველი ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია. ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდმა სიყვარულმა ის დააკავშირა და დაახლოვა ილიასა და აკაკის. შემდეგ კი გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს: თედო სახოკიას, ივანე გომართელს, ვასო აბაშიძეს, კოტე მაყაშვილს, შალვა ნუცუბიძეს, ალექსანდრე ჯანელიძეს, დიტო უზნაძეს, ვუკოლ ბერიძეს, აკაკი ფალავას და სხვებს. შალვა დადიანი და კონსტანტინე გამსახურდია კი ხშირად ყოფილან სტუმრად ლაღიძის კეთილ და სტუმართმოყვარე ოჯახში.

გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, არნო ონელი, შალვა კაშმაძე, ლადო მაჭავარიანი და ამ სტრიქონების ავტორი ხშირად მივდიოდით კრუზენშტეინის ქუჩაზე (ამჟამად წულუკიძის ქუჩა), სადაც ლაღიძეს ლიმონათის წარმოება ჰქონდა.

მიტროფანე ლაღიძე იყო ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი მოყვარული და მოამაგე. მთელი მისი წარმოება ქუთაისსა და თბილისში ამ კულტურის დაცვასა და განვითარებას ემსახურებოდა. ამიტომ ჰქონდა ასე ახლო ურთიერთობა ქართული ხელოვნების მოღვაწეებთან, მწერლებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან და ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალ სხვა მოღვაწესთან.

მიტროფანე ლაღიძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველთვის ხელს უწვდიდა და ეხმარებოდა ღარიბ და დაჩაგრულ ადამიანს. ამ სტრიქონების ავტორი ძალიან ახლოს იცნობდა მას. 1926 წელს მიტროფანე ლაღიძე გამაცნო ჩემმა ჯაბუკობის მეგობარმა ვასია ოკუჯავამ, მიტროფანეს შვილის ვახტანგის მეშვეობით და შემდეგ მასთან შინ დავდიოდი. რა გულუხვი პატივისცემა და დახმარება მახსოვს მისგან! ერთხელ ჩოხა-ახალუხიც კი შემიკერა — ქართული ტანსაცმლის მკერავ სან-

დრო ფარცხალაძესთან, შემდეგ ფოტოგრაფ ევტიხი ქვანიასთან წამიყვანა და სურათი გადამიღო.

ვასია ოკუჯავა, რომლის სახელი და გვარი აქ ვახსენე და რომელმაც მიტროფანე ლაღიძის ოჯახთან დამაახლოვა, იყო გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის ოლია ოკუჯავას უმცროსი ძმა, რომლის შესახებაც ის 1938—1939 წლებში გადასახლებიდან გულდამწვარ სტრიქონებს წერს გალაქტიონ ტაბიძეს: „გალ, ამდენჯერ მოგწერე და მაინც ვერ გავიგე, როგორ არის ვასკა, ჩემი ძვირფასი ბიჭუნა?“

ოლიას ისევ არ ასვენებს ვასიაზე ფიქრები და 1939 წელს განმეორებით სწერს გალაკტიონს: „სად და როგორ არის ჩემი საყვარელი ვასილკა?[1]

რად, ეს ფაქტი დღეს ყველასათვის ცნობილია.

ეს ამბავი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ ადრე მიტროფანე ლაღიძე დიდ დახმარებას უწევდა გალაკტიონს ეკონომიკუ-

უალკოჰოლო სასმელების ქარხნის ლაბორატორიის გამგემ ციალა მგელაძემ, სადაც მიტროფანე ლაღიძე კონსულტანტად მუშაობდა, აი რა გაიხსენა: „მიტროფანე ლაღიძემ, უალკოჰოლო სასმელების დამზადების უბადლო ოსტატმა, ჩემზე წარუშლელი გავლენა მოახდინა. ის თავის საყვარელ საქმეს ძალიან ფაქიზად უდგებოდა. ასეთი იყო ის ჩვენდამი მოპყრობასა და დამოკიდებულებაშიც, ის მუდამ გვასწავლიდა, ისე სიყვარულით, ისე სათუთად მოვპყრობოდით დაკისრებულ საქმეს, დაკისრებულ მოვალეობას, როგორც თვითონ ეპყრობოდა. მას ძალიან უყვარდა ილიას სტრიქონების ხშირად განმეორება“:

---

1 იხ. „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, გვ. 201—203. გამომც. „მერანი“, 1978. შეადგინა ვახტანგ ჯავახაძემ და ტარიელ ჭანტურიამ.

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, —
აბა დღეს მე ვის რა ვარგე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტროფანე ლაღიძის სახელი, მისი ესოდენ დიდი პოპულარობა ქართველი ხალხის მეხსიერებას ზღაპარივით გაჰყვება მანამდე, სანამ საქართველოში არ გამოილევა ის სურნელოვანი ხილეულის წყლები, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელიც.

ამიტომ იქნებ აუცილებელიც იყოს, რომ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სახლს, სადაც მიტროფანე ლაღიძის სახელით ცნობილი ხილეულის წყლები იყიდება, ამ უანგარო მოღვაწის პატივსაცემად მემორიალური დაფა გაეკრას.

წყალსაც უნდა დავუბრუნოთ ის არომატი და სიტკბო, რითაც ასე შორს იყო გავარდნილი ლაღიძისა და მისი რეცეპტით გამოშვებული ხილეული წყლების სახელი. ეს იქნება გამოჩენილი ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის მიტროფანე ლაღიძის საუკეთესო მემორიალი.

მიტროფანე ლაღიძე მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწეა, ასევე დარჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

რედაქტორი ო. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი ე. ყარყარაშვილი
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 19/XI-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IV-80 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,1.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 1,63.
უე 06060. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 1166.
ფასი 5 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СИГУА АЛЕКСАНДР КОНДРАТЬЕВИЧ

Митрофан Лагидзе

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1980

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტრო
„საქმინხილწყლების“ სამმართველო

საქართველოს სსრ გამსახკომის თბილისის, № 4 სტამბა
380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4 Госкомиздата
Грузинской ССР. Тбилиси 380060, Медгородок, II корп.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცა:

ლ. ბერძენიშვილი — „ნამგალა ხეხილი, მისი მოვლა და გაშენება“

გ. ქოგლიანიძე, შ. ჩოგოვაძე — „ქართული თაფლი“

ნ. შონია — „სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა საქ. სსრ-ში“

თ. ჯინჯიხაშვილი — „კარგი ხარ, ჩემო სოფელო“

მალე გამოვა:

ა. გეგეჭკორი — „ჩვენი ტყეების ბინადრები“

ო. ვაშაკიძე — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა საქ. სსრ-ში“

თ. კიკნაძე — „მღვიმეები და კაცობრიობა“

ე. ლობჟანიძე — „ჩვენი უძველესი თანამგზავრი“

რ. ზორდანია — „საქართველოს იშვიათი ფრინველები“

გ. ტალახაძე, ი. ანჯაფარიძე, ი. ცომაია — „ნიადაგი და ვაზი“

ნ. ჟითანავა — „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფა“

325/10